ქართული მედიაგარემო 2025-2026

ადამიანის უფლებათა ცენტრი

2026 წელი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC) www.coalitionfortheicc.org

სარჩევი

შესავალი და მეთოდოლოგია 5

ძირითადი მიგნებები 6

რეპრესიული საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო 8

ცვლილებები გრანტების შესახებ კანონში 10

„ფარა“ და კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ 10

ცვლილებები მაუწყებლობისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ კანონებში 11

ფიზიკური ძალადობა და უსაფრთხოების რისკები 13

პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა 15

მუქარა, შეურაცხყოფა 16

დაჯარიმება პროფესიული საქმიანობის განხორციელების გამო 17

გამოუძიებელი საქმეები 19

დახურული სასამართლო 20

პოლიტპატიმარი მზია ამაღლობელი 20

შეზღუდვები უცხოელი ჟურნალისტებისთვის 22

აფგან სადიგოვის საქმე და მისი გავლენა მედია გარემოზე 23

2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნები და საპროტესტო აქცია 25

საზოგადოებრივი მაუწყებელი 26

კომუნიკაციების კომისია 28

შეჯამება 30

შესავალი და მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს საქართველოს მედიაგარემოს 2025–2026 წლებში[1] და აფასებს იმ ძირითად ტენდენციებს თუ გამოწვევებს, რომლებიც მედიის უფლებებზე, ჟურნალისტთა უსაფრთხოებასა და ინფორმაციის გავრცელების გარემოზე გავლენას ახდენენ.

ბოლო წლებში საქართველოს მედიაგარემო რადიკალური ცვლილებების პროცესშია. განსაკუთრებით მედიის სამუშაო პირობები არსებითად შეიცვალა 2024 წლის ბოლოს განვითარებული პოლიტიკური მოვლენებისა და საპროტესტო პროცესების შემდეგ. აღნიშნული პერიოდი ხასიათდება სამართლებრივი რეგულაციების გამკაცრებით, ჟურნალისტებზე ფიზიკური და ადმინისტრაციული ზეწოლის ზრდით, ასევე - მედიის მიმართ დისკრედიტაციის პრაქტიკის გააქტიურებით.

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ კვლევებს, მედიის სტატიებსა თუ სხვა შესაბამისს ინფორმაციას, რომლებიც ასახავს მედიის თავისუფლების, სამართლებრივ გარემოსა და ჟურნალისტთა უფლებრივ მდგომარეობას.

[1] ანგარიში მოიცავს 2026 წლის იანვარ-აპრილის პერიოდს

ძირითადი მიგნებები

2025-2026 წლების საანგარიშო პერიოდის კომპლექსური ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში მედიაგარემო ფუნდამენტური და რადიკალური ცვლილებების ეტაპზეა. დამოუკიდებელი მედია გადარჩენის რეჟიმში გადავიდა. მიგნებები მიუთითებს, რომ მედიაგარემო აღარ არის მხოლოდ „რთული“, არამედ იგი გახდა ღიად მტრული, რაც მოითხოვს შესაბამის რეაგირებას როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აქტორებისგან.

საკანონმდებლო რეპრესიების ინსტიტუციონალიზაცია - მედიაგარემოს მნიშვნელოვან გამოწვევას რეპრესიული კანონმდებლობის ინსტრუმენტალიზაცია წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში მიღებულია ათობით ახალი კანონი თუ ცვლილებები მოქმედ ნორმებში, რომლებმაც არსებითად გააუარესეს მედიის უფლებები და სამუშაო გარემო.

წახალისებული ძალადობა და დაუსჯელობა - 2025 წელს დაფიქსირებული 300 მეტი ინციდენტი, რომელიც 323 ჟურნალისტს შეეხო, ადასტურებს, რომ მედიაზე თავდასხმა სისტემურ ხასიათს ატარებს, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ამ შემთხვევების გამოუძიებლობა ახალისებს დაუსჯელობის კულტურას, რაც მედიის წარმომადგენლებისთვის საშიშ სამუშაო გარემოს ქმნის.

პროფესიული საქმიანობის კრიმინალიზაცია - მზია ამაღლობელის საქმე და ჟურნალისტთა დაკავების შემთხვევები მიუთითებს პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების გამოყენებაზე. კრიტიკული აზრის გამოხატვა და საჯარო პროტესტის გაშუქება სულ უფრო ხშირად ხდება ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი.

სასამართლო სისტემის ჩაკეტილობა - მედიისთვის სასამართლო პროცესების დახურვა შეუძლებელს ხდის მართლმსაჯულების პროცესზე საზოგადოებრივ კონტროლს და მედიას ართმევს „საზოგადოებრივი მოდარაჯის“ ფუნქციას.

მედიის ოპერირების პარალიზება - რეპრესიულმა კანონმდებლობამ დამოუკიდებელი მედიასაშუალებები კოლაფსის წინაშე დააყენა. ეს არ არის მხოლოდ ბიუროკრატიული შეზღუდვა, არამედ მედიის საქმიანობის შეწყვეტის მიზანმიმართული სტრატეგია.

მიზანმიმართული დეზინფორმაციული კამპანია - დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ მიმართული პერმანენტული დისკრედიტაცია მიზნად ისახავს მათ მიმართ ნდობის დაკარგვას და საზოგადოებისთვის სანდო ინფორმაციის წყაროს ჩახშობას. მსგავსი კამპანიები აკნინებს მედიას და ცალკეულ ჟურნალისტებს, ახდენს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას და ახალისებს ან ამართლებს ფიზიკურ თუ სამართლებრივ თავდასხმებს, რაც ქმნის წინასწარ მომზადებულ ნიადაგს რეპრესიებისთვის.

თვითცენზურა - რეპრესიული და ბუნდოვანი სამართლებრივი ნორმები, სისტემური ძალადობისა და მუქარის გარემო იწვევს თვითცენზურის ზრდას. ასეთი რეალობა, თვითცენზურის „გამყინვარების ეფექტით“ ნოყიერ ნიადაგს ქმნის ჯანსაღი საჯარო დისკუსიის გაუქმებისთვის და საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისთვის.

ადმინისტრაციული ბარიერები და უკანონოდ ხელის შეშლა - ფიზიკური აგრესიის პარალელურად, დოკუმენტირებულია პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელის შეშლის მასშტაბური პრაქტიკა: ტექნიკის ჩამორთმევა, გადაღების აკრძალვა საჯარო სივრცეებში და მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან მედიის წარმომადგენლების ღია შეურაცხყოფა.

საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების დარღვევა - საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები ადასტურებს, რომ მედიის თავისუფლების გაუარესება საქართველოში არის უფრო ფართო დემოკრატიული უკუსვლის ნაწილი. ინსტიტუციური ძალადობა და რეგულირების მექანიზმების პოლიტიზაცია ქვეყანას საერთაშორისო იზოლაციისკენ უბიძგებს.

რეპრესიული საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო

საქართველოში მედიის თავისუფლების მდგომარეობა მკვეთრი გაუარესების ტენდენციით ხასიათდება, რაც გამოიხატება როგორც ჟურნალისტებზე ზეწოლის ზრდაში, ისე საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემოს გამკაცრებაში. ეს პროცესები მიუთითებს მედიის საქმიანობისთვის რისკების სისტემურ ზრდაზე და კრიტიკული ჟურნალისტიკის სივრცის შევიწროებაზე.[2]

მედიის, ინფორმაციისა და სოციალური კვლევების ცენტრის (CMIS) მონაცემებით, მარტო 2025 წელს ჟურნალისტების წინააღმდეგ 357 ინციდენტი დაფიქსირდა, რომელიც შეეხო 323 ჟურნალისტს. ამასთან, 2024–2025 წლებში მედიის წინააღმდეგ რეგისტრირებული ინციდენტების რაოდენობა დაახლოებით 600-ს აღწევს, რაც პრობლემის ინტენსიურ ხასიათზე მიუთითებს.[3] ზეწოლის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს შორის იკვეთება ფიზიკური ძალადობა, შეურაცხყოფა, მუქარა, ადმინისტრაციული სანქციები, მათ შორის დაჯარიმება - განსაკუთრებით საპროტესტო აქციების გაშუქებისას; ასევე დისკრედიტაციის კამპანიები და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება ჟურნალისტური საქმიანობის შესაზღუდად. 2025 წელს დაფიქსირდა ჟურნალისტთა დაკავებისა და დაპატიმრების 20 შემთხვევა, მათ შორის პროფესიული მოვალეობის შესრულების პროცესში.[4]

მედიის უფლებების დარღვევების მნიშვნელოვან ნაწილში ფიგურირებენ სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოები, რაც აჩენს ანგარიშვალდებულებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკებს.[5]

საკანონმდებლო ცვლილებების გავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი რეგულაციებით. ისინი ქმნის ე.წ. „გამყინვარების ეფექტს“, როდესაც ჟურნალისტები და მედიაორგანიზაციები თვითცენზურისკენ იხრებიან სამართლებრივი რისკების თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული ეფექტი განსაკუთრებით მძაფრად ვლინდება იმ პირობებში, როდესაც სამართლებრივი ნორმების განმარტება ფართო და არაერთგვაროვანია, რაც ზრდის მათი შერჩევითი გამოყენების შესაძლებლობას.[6]

---

[2] Media, Information and Social Research Centre (CMIS), *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); Media Freedom Rapid Response (MFRR), *Summit Report* (2025).
[3] CMIS (n 1); Reporters Without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks Against the Press in One Year* (2025).
[4] CMIS (n 1); Reporters Without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks Against the Press in One Year* (2025).
[5] CMIS (n 1); Reporters Without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks Against the Press in One Year* (2025).
[6] European Commission, *Communication on EU Enlargement Policy* COM (2025); European Commission, *Staff Working Document* SWD (2025).

რეპრესიულმა საკანონმდებლო ჩარჩომ არსებითად შეცვალა მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის გარემო. ფორმალურად გამჭვირვალობის უზრუნველყოფისკენ მიმართული რეგულაციები პრაქტიკაში იქცა სტიგმატიზაციისა და ზეწოლის ინსტრუმენტად. კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი განმარტებები და არაპროპორციული სანქციები ამცირებს მედიის შესაძლებლობებს, სრულყოფილად განახორციელონ პროფესიული საქმიანობა.[7]

ცალკე აღსანიშნავია აწ უკვე გაუქმებული ანტიკორუფციული ბიუროს რეპრესიული პოლიტიკა მიმართული მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ. ბიურომ რამდენიმე დამოუკიდებელ მედიასაშუალებას, მათ შორის „პროექტი 64“-ს, „მთის ამბებს“, „რეალპოლიტიკას“ და „აი, ფაქტს“, ასევე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, მოსთხოვა წარმოედგინა მოქმედი ან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებების დეტალები. წერილებში სამართლებრივი საფუძველი მკაფიოდ არ იყო მითითებული, რამაც დასაბუთებული კრიტიკა გამოიწვია. აღნიშნული ქმედება განიხილება როგორც დამოუკიდებელი მედიის მიმართ გაზრდილი ადმინისტრაციული ზეწოლის ნაწილი.[8]

მედიაგარემოს კრიტიკული გაუარესების საპასუხოდ, ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ (RSF) 2025-ის ანგარიშში „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი „პრესის თავისუფლების მტაცებელთა“ 34-კაციან სიაში შეიყვანა.[9] ეს სია გამოქვეყნდა ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ჩამონათვალში ბიძინა ივანიშვილი დასახელებულია ისეთ პირებთან ერთად როგორიცაა: ვლადიმერ პუტინი, ალიაქსანდრ ლუკაშენკა, ალი ხამენეი, ნიკოლას მადურო და ა.შ. როგორც ორგანიზაცია აღნიშნავს, ივანიშვილის მთავარი გავლენის წყარო მისი ფართო ბიზნეს-ქსელია, რომელსაც ისინი მნიშვნელოვან ბერკეტად მიიჩნევენ.

იმავე „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ (RSF) მონაცემებით, 2026 წელს საქართველო პრესის თავისუფლების ინდექსში წინა წელთან შედარებით 21 პოზიციით გაუარესდა. მთლიანობაში კი, ბოლო წლებში, ქვეყანამ აღნიშნულ ინდექსში 75 პოზიციით დაიხია უკან.[10]

---

[7] Media, Information and Social Research Centre (CMIS), *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); Media Freedom Rapid Response (MFRR), *Summit Report* (2025).

[8] მედიის ადვოკატრების კოალიცია, ონლაინ მედიებისგან საგრანტო ხელშეკრულების დეტალების მოთხოვნა პოლიტიკურად მოტივირებულია, 2025.

[9] Reporter Without Borders, 2025 Press Freedom Predators.

[10] Reporter Without Borders**,** 2026 RSF Index: press freedom at a 25-year low, 2026**;** ნეტგაზეთი, პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველო ბოლო წლებში 75 ადგილით ჩამოქვეითდა, 30 აპრილი, 2026.

ცვლილებები გრანტების შესახებ კანონში

გრანტების შესახებ კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მედიის სამუშაო გარემოზე საქართველოში.[11] აღნიშნული ცვლილებები ქმნის დამატებით ბარიერებს იმ მედიასაშუალებებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული საერთაშორისო მხარდაჭერაზე. მედიის ფინანსური გარემო საქართველოში ზოგადად ხასიათდება სუსტი ეკონომიკური მდგრადობით. სარეკლამო ბაზრის სიმცირე და მისი კონცენტრაცია ზრდის მედიის დამოკიდებულებას შეზღუდულ ფინანსურ წყაროებზე.[12]

გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, გრანტების შესახებ კანონმდებლობის გამკაცრება დაკავშირებულია დამოუკიდებელი მედიის მდგრადობის გამოწვევებთან. საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული მხარდაჭერის შეზღუდვა ამცირებს მედიაორგანიზაციების ოპერაციულ შესაძლებლობებს და ზრდის მათ მოწყვლადობას.[13]

აღნიშნული პირობები ქმნის გარემოს, სადაც მედიასაშუალებები შესაძლოა იძულებულნი გახდნენ, გადარჩენის მიზნით შეზღუდონ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა, რაც ნეგატიურად აისახება მედიის პლურალიზმსა და მის დემოკრატიულ ფუნქციაზე.[14]

„ფარა“ და კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ

უცხოური გავლენის რეგულაციების საბაბით მიღებული საკანონმდებლო ინიციატივები წარმოადგენს მედიისა და სამოქალაქო სექტორის საქმიანობის შეზღუდვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. აღნიშნული ნორმატიული ჩარჩო გავლენას ახდენს როგორც ორგანიზაციებზე, ისე ინდივიდუალურ ჟურნალისტურ საქმიანობაზე და ქმნის დამატებით სამართლებრივ და ინსტიტუციურ რისკებს.

ვენეციის კომისიის შეფასებით, „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონი (GEOFARA) დაუსაბუთებლად აფართოებს შეზღუდვებს და ნებისმიერ პირს, რომელიც უცხოური ძალის „დავალებით“ მოქმედებს, ავალდებულებს, დარეგისტრირდეს „უცხოური ძალის აგენტად“. მედიისთვის ეს ნიშნავს მასალების სავალდებულო

[11] Civil.ge სადავო პარლამენტმა „გრანტების შესახებ“ კანონში მორიგი ცვლილება მიიღო, 15 აპრილი, 2026.
[12] European Commission, *Staff Working Document* SWD (2025), Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).
[13] UN Human Rights Council, *Universal Periodic Review: Joint Submission by Media Advocacy Coalition and Committee to Protect Journalists* (2025).
[14] European Commission, *Staff Working Document* SWD (2025).

მარკირებას, რაც საზოგადოებაში უნდობლობას თესავს. განსაკუთრებით საშიშია ამ კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მცირე ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაშიც კი ჟურნალისტებსა და მედიამენეჯერებს რამდენიმეწლიანი პატიმრობა ემუქრებათ. [15]

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი კი მედიასაშუალებებს (მაუწყებლებს, ბეჭდურ და ონლაინ გამოცემებს), რომლებიც დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოეთიდან იღებენ, აიძულებს დარეგისტრირდნენ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად“. კომისიის შეფასებით, ეს იწვევს დამოუკიდებელი მედიის სტიგმატიზაციას, ლახავს მათ რეპუტაციას და საფრთხეს უქმნის მათ ფუნქციონირებას. მკაცრი ადმინისტრაციული ჯარიმები და მუდმივი მონიტორინგი ქმნის „მსუსხავ ეფექტს“, რაც ახშობს კრიტიკულ აზრს და ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.[16]

ვენეციის კომისიის შეფასებით, ეს კანონები ერთობლიობაში ქმნიან რეპრესიულ სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს არა გამჭვირვალობას, არამედ სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი მედიის კონტროლსა და გაჩუმებას. პროცედურული ხარვეზების, ბუნდოვანი ტერმინოლოგიისა და არაპროპორციული სასჯელების გამო, კომისიამ გასცა მათი გაუქმების რეკომენდაცია.[17]

ცვლილებები მაუწყებლობისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ კანონებში

მაუწყებლობისა და სიტყვის თავისუფლების შესახებ კანონებში განხორციელებული ცვლილებები ზრდის რეგულატორული გავლენის შესაძლებლობას მედიასივრცეზე და ქმნის დამატებით გამოწვევებს დამოუკიდებელი მედიასაშუალებებისთვის. 2025 წლის აპრილში ძალაში შესული ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში მათ შორის პირდაპირ კრძალავს მაუწყებლების მიერ „უცხოური ძალისგან“ დაფინანსების მიღებას, გარდა კომერციული რეკლამისა და სპონსორობის შეზღუდული გამონაკლისებისა. ეს შეზღუდვა განსაკუთრებით პრობლემურია იმ მედიებისთვის, რომლებიც საერთაშორისო მხარდაჭერაზე არიან დამოკიდებულნი. ამასთან, მაუწყებლობის კანონით გათვალისწინებული შინაარსობრივი რეგულაციები ზრდის სარედაქციო ჩარევის რისკს.[18]

---

[15] Venice Commission, *Opinion on the Law on Foreign Influence Transparency (GEOFARA)* CDL-AD(2025)034-e (2025).
[16] Venice Commission, *Opinion on the Law on Foreign Influence Transparency (GEOFARA)* CDL-AD(2025)034-e (2025).
[17] Venice Commission, *Opinion on the Law on Foreign Influence Transparency (GEOFARA)* CDL-AD(2025)034-e (2025).
[18] SJC, *„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ინიცირებული ცვლილებები ძირს უთხრის მედიის და გამოხატვის თავისუფლებებს* (2025).

ვენეციის კომისიის შეფასებით, უცხოური დაფინანსების სრული აკრძალვა, მცირე და კონცენტრირებული სარეკლამო ბაზრის პირობებში, ფაქტობრივად ზღუდავს დამოუკიდებელი მაუწყებლების სიცოცხლისუნარიანობას და უარყოფითად მოქმედებს მედია პლურალიზმზე. კომისია ასევე მიუთითებს, რომ სახელმწიფო როდესაც განსაზღვრავს მედიის დაფინანსების დასაშვებ წყაროებს, ის ირიბად ახდენს გავლენას დამოუკიდებლობაზე, რაც ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების ევროპულ სტანდარტებს.[19]

კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის ფართო სანქცირების უფლებამოსილების მინიჭება ქმნის გარემოს, სადაც სარედაქციო შეფასება შესაძლოა ადმინისტრაციული სანქციის საფუძვლად იქცეს. ეს განსაკუთრებით პრობლემურია მაშინ, როდესაც გამოყენებული ტერმინები სამართლებრივად არ არის საკმარისად განჭვრეტადი.[20]

2025 წელს მიღებული ცვლილებები „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში ქმნის ხარისხობრივად ახალ, უფრო მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის როგორც მედიის, ისე ცალკეული მოქალაქეების გამოხატვის პრაქტიკას. ცილისწამების განმარტებიდან ზიანის კომპონენტის ამოღება ამცირებს იმ სტანდარტს, რომელიც აუცილებელი იყო განცხადების სამართლებრივად დასასჯელად. ახალი ფორმულირება - „არსებითად მცდარი და სახელის გამტეხი განცხადება“ - უფრო ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ტოვებს და ზრდის სუბიექტური შეფასების რისკს. ამასთან, მტკიცების ტვირთის გადატანა მოპასუხეზე არსებითად ცვლის პროცესუალურ ბალანსს. ეს ცვლილება, პრაქტიკაში, შესაძლოა გახდეს თვითცენზურის სტიმული, განსაკუთრებით იმ გარემოში, სადაც ინფორმაციის წყაროები შეზღუდულია ან დახურული. ზიანის ანაზღაურების მექანიზმის გაფართოება კიდევ უფრო აძლიერებს სანქცირების პოტენციალს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ უარყოფა ან შესწორება არასაკმარისია, დამატებითი ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრება ქმნის მნიშვნელოვან ეკონომიკურ წნეხს მედიასა და ინდივიდებზე. ეს გარემოება განსაკუთრებით პრობლემურია მცირე და დამოუკიდებელი მედიისთვის, რომლის რესურსებიც შეზღუდულია და რომელიც უფრო მოწყვლადია ხანგრძლივი სამართლებრივი დავების მიმართ.[21]

ცვლილებებით გაუქმებული დაცვის მექანიზმები, მათ შორის - წყაროს კონფიდენციალურობის დაცვის პრაქტიკული გარანტიები, ასუსტებს ჟურნალისტური საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს. წყაროს გამხელაზე უარის გამოყენება მოპასუხის საწინააღმდეგოდ ქმნის რეალურ საფრთხეს საგამოძიებო

[19] Venice Commission, CDL-AD(2025)034-e (2025).
[20] OSCE, *Fact-Finding Mission on Georgia under the Moscow Mechanism* (2026).
[21] CMIS, ქართული ოცნების მორიგი საკანონმდებლო ცვლილებები სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ, 2025.

ჟურნალისტიკისთვის, სადაც ინფორმაციის მოპოვება ხშირად ეფუძნება კონფიდენციალურ კომუნიკაციას. ანალოგიურად, „კვალიფიციური პრივილეგიის“ გაუქმება ართმევს მედიას იმ სამართლებრივ დაცვას, რომელიც აღიარებდა კეთილსინდისიერ მოქმედებასა და საზოგადოებრივი ინტერესის პრიორიტეტს, მაშინაც კი, როდესაც ფაქტობრივი შეცდომა არსებობდა. შინაარსობრივი რეგულირების შემოღება „საჯარო სივრცეში შეურაცხყოფის“ ცნებით აფართოებს სახელმწიფოს ჩარევის არეალს. ამგვარი გაფართოება ზრდის რისკს, რომ კრიტიკული ან მკვეთრი შეფასებები, რომლებიც დემოკრატიულ დისკურსში ნორმად მიიჩნევა, გახდეს სამართლებრივი დავის საგანი. პირადი ცხოვრების დაცვის პრიორიტეტის გაძლიერება, პარალელურად შესაბამისი დამაბალანსებელი ჩანაწერის გაუქმებით, ცვლის საჯარო ინტერესისა და კონფიდენციალურობის ბალანსს. ახალი რეალობა ზრდის ალბათობას, რომ პირადი ცხოვრების არგუმენტი გამოყენებულ იქნას ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვისთვის, რაც პირდაპირ აისახება ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხზე.[22]

ამ ცვლილებების ერთობლიობა ქმნის გარემოს, სადაც სამართლებრივი რისკები მნიშვნელოვნად იზრდება, დაცვის მექანიზმები მცირდება, ხოლო რეგულირების ფარგლები ფართოვდება. შედეგად, მედიისა და სამოქალაქო სივრცის ფუნქციონირება უფრო მეტად დამოკიდებული ხდება თვითშეზღუდვაზე, რაც უარყოფითად აისახება საჯარო დისკუსიის ხარისხსა და დემოკრატიულ პროცესებზე.[23]

ფიზიკური ძალადობა და უსაფრთხოების რისკები

2025–2026 წლებში საქართველოს მედიაგარემოში ფიზიკური ძალადობა სისტემურ და მზარდ პრობლემად რჩება. არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ ჟურნალისტები საფრთხის ქვეშ იმყოფებიან განსაკუთრებით - საპროტესტო აქციებისა და საჯარო შეკრებების გაშუქებისას, სადაც სამართალდამცავებთან ან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებთან პირდაპირი კონტაქტი ზრდის ძალადობის ალბათობას.[24]

[22] CMIS, ქართული ოცნების მორიგი საკანონმდებლო ცვლილებები სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ, 2025.
[23] CMIS, ქართული ოცნების მორიგი საკანონმდებლო ცვლილებები სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ, 2025.
[24] Media, Information and Social Research Centre (CMIS), *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); European Commission, *Staff Working Document* SWD (2025).

არსებული შემთხვევები ხშირად მოიცავს როგორც ფიზიკურ ძალადობას, ისე დაკავებასა და სხვა სახის ზეწოლას. 2025 წელს ჟურნალისტთა დაკავებისა და დაპატიმრების არაერთი შემთხვევა, მათ შორის მინიმუმ 20 ფაქტი, მიუთითებს საგანგაშო ტენდენციაზე, როდესაც ჟურნალისტები შესაძლოა გახდნენ სამართალდამცავი ღონისძიებების ობიექტები პროფესიული საქმიანობის შესრულების პროცესში.[25]

საპროტესტო აქციების დროს ჟურნალისტების მიმართ გამოყენებული ძალა იყო არაპროპორციული და რიგ შემთხვევებში მიზანმიმართული, რათა ხელი შეშლოდა მოვლენების დოკუმენტირებას.[26] აღნიშნულს ადასტურებს ასევე პროფესიული მონიტორინგის ანგარიშები, სადაც ხაზგასმულია ჟურნალისტების მიმართ ვერბალური და ფიზიკური შევიწროების სისტემური ხასიათი.[27]

ძალადობის შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია დედაქალაქში, და სხვა პოლიტიკურად აქტიურ ქალაქებში, სადაც პოლიტიკური პროცესების ინტენსივობა და საპროტესტო აქტივობების მასშტაბი მაღალია. ცალკეულ ეპიზოდებში ასევე ფიქსირდება არასათანადო მოპყრობის ნიშნები დაკავების პროცესში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ჟურნალისტების უსაფრთხოების მდგომარეობას.[28]

ჟურნალისტების დაკავებისა და ადმინისტრაციული პატიმრობის შემთხვევებმა მკვეთრად გამოხატული სისტემური ხასიათი მიიღო. დოკუმენტირებული მონაცემებით შემთხვევების უმრავლესობა დაკავშირებულია მასშტაბურ საპროტესტო პროცესებთან, მათ შორის ე.წ. რუსული კანონის წინააღმდეგ გამართულ აქციებთან, საპარლამენტო არჩევნების შემდგომ და პროევროპულ პროტესტებთან.[29] სამართალდამცავი ორგანოები ყოველთვის არ ითვალისწინებენ ჟურნალისტის პროფესიულ სტატუსს და მისი დაცვის ვალდებულებას.[30]

დაკავებების მნიშვნელოვანი ნაწილი ეფუძნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, განსაკუთრებით პოლიციისადმი დაუმორჩილებლობისა და გზის გადაკეტვის მუხლებს. რიგ შემთხვევებში გამოყენებული ადმინისტრაციული პატიმრობა და ჯარიმები აჩენს შერჩევითი გამოყენების რისკს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროფესიული საქმიანობის კონტექსტი აშკარაა.[31]

---

[25] CMIS, *Journalists' Detentions in Georgia 2024–2025* (2026).
[26] Reporters Without Borders (RSF), Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks Against the Press in One Year (2025).
[27] Media Freedom Rapid Response (MFRR), *Summit Report* (2025).
[28] Media, Information and Social Research Centre (CMIS), *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); European Commission, *Staff Working Document* SWD (2025).
[29] CMIS, *Journalists' Detentions in Georgia 2024–2025* (2026); UN Human Rights Council, *UPR Joint Submission on Media Freedom* (2025); Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).
[30] CMIS, *Journalists' Detentions in Georgia 2024–2025* (2026); UN Human Rights Council, *UPR Joint Submission on Media Freedom* (2025); Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).
[31] CMIS, *Journalists' Detentions in Georgia 2024–2025* (2026); UN Human Rights Council, *UPR Joint Submission on Media Freedom* (2025); Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).

ფიზიკურ საფრთხეებთან ერთად ჟურნალისტები აწყდებიან ციფრულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ გამოწვევებსაც, მათ შორის ონლაინ შევიწროებას, კოორდინირებულ დისკრედიტაციას და პერსონალური მონაცემების გავრცელებას, რაც დამატებით ფსიქოლოგიურ ზეწოლას ქმნის.[32]

საერთო ჯამში საქართველოში ჟურნალისტების დაკავებისა და ძალადობის პრაქტიკა მიუთითებს მზარდ სისტემურ ტენდენციაზე, სადაც სამართლებრივი და ადმინისტრაციული მექანიზმები კომბინირებულად გამოიყენება მედიის საქმიანობის შესაზღუდად. ეს კი ასუსტებს მედიის როლს როგორც საზოგადოებრივი კონტროლის ინსტრუმენტს და ზღუდავს საზოგადოების უფლებას, მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე.[33]

პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა

პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში უკანონო ხელის შეშლა სისტემურ პრობლემად რჩება და მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მედიის თავისუფლებისთვის. ჟურნალისტებს ხშირად ეზღუდებათ გადაადგილება, ეწინააღმდეგებიან გადაღებაში, ან არ ეძლევათ შესაძლებლობა იმუშაონ ისეთ სივრცეებში, სადაც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მოვლენები ვითარდება.[34] ასეთი პრაქტიკა არსებითად ზღუდავს მედიის შესაძლებლობას, უზრუნველყოს მოვლენების სრულყოფილი და ობიექტური გაშუქება.[35] მედიის წინააღმდეგ გამოყენებული სამართლებრივი და ფიზიკური ბარიერები ასუსტებს მედიის, როგორც „ხელისუფლების მაკონტროლებლის“ ფუნქციას, რაც დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს. აღნიშნული გარემოება პირდაპირ უკავშირდება დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტიანობასა და ანგარიშვალდებულების ხარისხს.[36]

პრობლემას ამძაფრებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემური შეფერხებები. საჯარო უწყებები ხშირად არ უზრუნველყოფენ სრულყოფილ და დროულ პასუხებს

[32] CMIS, *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); European Commission, *Staff Working Document* SWD (2025).
[33] CMIS, *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); European Commission, *Staff Working Document* SWD (2025).
[34] CMIS, *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); Reporters without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks against the Press in One Year* (2025).
[35] MFRR Summit, *Report* (2025).
[36] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).

ჟურნალისტურ მოთხოვნებზე, რაც არღვევს კანონით დადგენილ ვალდებულებებს. ინფორმაციის დახურვა ან გაჭიანურება მნიშვნელოვნად ზღუდავს საგამოძიებო ჟურნალისტიკის შესაძლებლობებს და ამცირებს საზოგადოების წვდომას საჯარო ინფორმაციაზე.[37]

დაფიქსირებულია ჟურნალისტების ტექნიკის დაზიანებისა და მუქარის შემთხვევები, რაც ქმნის მტრულ გარემოს მედიის წარმომადგენლებისთვის.[38]

მუქარა, შეურაცხყოფა

მედიის წარმომადგენლების მიმართ მუქარისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის პრაქტიკა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება და სისტემურ ხასიათს იძენს. აღნიშნული ქმედებები ხშირად თან ახლავს სხვა ტიპის დარღვევებს და ქმნის გარემოს, სადაც ჟურნალისტები ექვემდებარებიან როგორც პირდაპირ, ისე ირიბ ზეწოლას. აგრესიული რიტორიკა, მათ შორის - საჯარო განცხადებებსა და სხვადასხვა პლატფორმაზე გავრცელებული დისკრედიტაციის მცდელობები, მნიშვნელოვნად აუარესებს მედიის საქმიანობის პირობებს და ამცირებს პროფესიული უსაფრთხოების სტანდარტებს.[39]

მუქარისა და შეურაცხყოფის გავრცელებული პრაქტიკა გავლენას ახდენს საზოგადოებრივ დამოკიდებულებებზე და ხელს უწყობს ჟურნალისტების მიმართ ნეგატიური განწყობების ფორმირებას. შედეგად, იზრდება ფსიქოლოგიური ზეწოლა მედიის წარმომადგენლებზე და ძლიერდება თვითცენზურის ტენდენცია, რაც პირდაპირ აისახება მედიის თავისუფლების ხარისხზე და ზღუდავს კრიტიკული და საგამოძიებო ჟურნალისტიკის შესაძლებლობებს.[40]

მუქარა და შეურაცხყოფა სხვადასხვა ფორმით ვლინდება, მათ შორის ონლაინ სივრცეში კოორდინირებული კამპანიების, საჯარო განცხადებებისა და პირადი კომუნიკაციის გზით. აღნიშნული პრაქტიკა არა მხოლოდ ინდივიდუალურ ჟურნალისტებს აზიანებს,

[37] European Commission, *SWD (2025)*.
[38] CMIS, *სასამართლო პროცესების გაშუქება: ბარიერები ჟურნალისტებისთვის* (2026).
[39] CMIS, *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); Reporters without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks against the Press in One Year* (2025).
[40] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).

არამედ მთლიანად მედიის სექტორს ასუსტებს, რადგან ქმნის შიშისა და დაუცველობის განცდას, რაც გავლენას ახდენს ინფორმაციის თავისუფალ გავრცელებაზე.[41]

აღნიშნული ტენდენციები მიუთითებს, რომ მედიის წარმომადგენლების მიმართ მუქარა და შეურაცხყოფა არ არის იზოლირებული შემთხვევები, არამედ წარმოადგენს უფრო ფართო პრობლემის ნაწილს, რომელიც უკავშირდება დემოკრატიული გარემოს გაუარესებას და მედიის თავისუფლების შეზღუდვას. ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების არსებობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჟურნალისტების უსაფრთხოება და პროფესიული საქმიანობის თავისუფლად განხორციელება.[42]

დაჯარიმება პროფესიული საქმიანობის განხორციელების გამო

ადმინისტრაციული სანქციები, განსაკუთრებით - ჯარიმები, ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა მედიის წარმომადგენლებზე ზეწოლისათვის. დაფიქსირებული შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია საპროტესტო აქციების გაშუქებასთან, როდესაც ჟურნალისტებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ისეთ ქმედებებზე, როგორიცაა გზის ხელოვნური გადაკეტვა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ადგილზე იმყოფებიან პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებაზე ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვის მიზნით.[43]

ფინანსური სანქციები დამატებით ტვირთად აწვება მედიის წარმომადგენლებს და ამძიმებს ისედაც რთულ გარემოს. ეს განსაკუთრებით ნეგატიურად აისახება მედიის დამოუკიდებლობაზე და ზრდის თვითცენზურის საფრთხეს, რაც გავლენას ახდენს მედიის თავისუფლების ხარისხზე.[44]

[41] CMIS, *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); Reporters without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks against the Press in One Year* (2025).
[42] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).
[43] CMIS, *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); Reporters without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks against the Press in One Year* (2025).
[44] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განვითარებულმა საპროტესტო პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მედიის ფუნქციონირების გარემო. აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა სამართალდამცავი პრაქტიკა, რომელიც მედიის წარმომადგენელთა მიმართ ადმინისტრაციული ზომების ინტენსიურ გამოყენებაში გამოიხატა. „გზის ხელოვნურად გადაკეტვისა“ და „ტროტუარზე დგომის“ საფუძვლით ჟურნალისტების დაჯარიმებისა და დაკავების შემთხვევებმა სისტემური ხასიათი მიიღო.[45]

საჯარო მონაცემების მიხედვით, „გზის ხელოვნურად გადაკეტვის“ საფუძვლით დაჯარიმების ორმოცი შემთხვევა დაფიქსირდა, რომლებიც 30 ჟურნალისტს შეეხო. ერთი და იგივე ჟურნალისტის რამდენჯერმე დაჯარიმების შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჯარიმების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწერილია იმ დროს, როდესაც ჟურნალისტები უშუალოდ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ - აშუქებდნენ საპროტესტო აქციებს ან ამზადებდნენ რეპორტაჟებს.[46]

საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გაამკაცრა სამართლებრივი ჩარჩო. ადმინისტრაციული ჯარიმა „გზის უკანონო გადაკეტვისთვის“ გაიზარდა და 5 000 ლარს მიაღწია, ხოლო 2025 წლის ოქტომბრიდან ამავე ქმედებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობაც გაჩნდა. მოგვიანებით, მსგავსი პასუხისმგებლობა გავრცელდა ტროტუარზე შეკრების შემთხვევებზეც, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სამართლებრივი რისკები ჟურნალისტებისთვის.[47]

პრაქტიკა აჩვენებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები მიზანმიმართულად ახორციელებენ მედიის დასანქცირებას. მართალია, ხშირია სასამართლოში შემდგომ ჯარიმის გაუქმებისა თუ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევები, მაგრამ მსგავსი პრაქტიკა აშკარად დაშინებას ისახავს მიზნად.[48]

[45] CMIS, *მედიის წარმომადგენლების დაჯარიმება* (2026).
[46] CMIS, *მედიის წარმომადგენლების დაჯარიმება* (2026).
[47] CMIS, *მედიის წარმომადგენლების დაჯარიმება* (2026).
[48] CMIS, *მედიის წარმომადგენლების დაჯარიმება* (2026).

გამოუძიებელი საქმეები

მედიის წინააღმდეგ ჩადენილი დარღვევების მნიშვნელოვანი ნაწილი 2025–2026 წლებში რჩება სათანადო და ეფექტიანი რეაგირების გარეშე, რაც აჩენს დაუსჯელობის სისტემურ პრობლემას. ძალადობის, მუქარისა და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის შემთხვევებში გამოძიების არაეფექტიანობა ამცირებს სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ეფექტიანობას და აძლიერებს აღქმას, რომ მსგავსი ქმედებები არ იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.[49] დაუსჯელობის ასეთი გარემო ხელს უწყობს დარღვევების განმეორებას და ქმნის სისტემურ გამოწვევას. დაუსჯელობის კულტურა განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება პოლიტიკურად სენსიტიურ კონტექსტს.[50]

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის გამოქვეყნებულ დოკუმენტში ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია 2024 და 2025 წლის დასაწყისში საპროტესტო აქციების ძალადობრივი დაშლის გამო პასუხისმგებლობის არარსებობა. მიუხედავად არსებული ბრალდებებისა, სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტებისა და ჟურნალისტების მიმართ უკანონო ქმედებებზე პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ სამართლებრივი რეაგირება პრაქტიკულად არ განხორციელებულა. აღნიშნული გარემოება პირდაპირ აისახება მედიის საქმიანობაზე: დაუსჯელობის განცდა ზრდის ჟურნალისტებისთვის პროფესიული რისკების დონეს, განსაკუთრებით მასობრივი შეკრებების გაშუქებისას. ამ კონტექსტში, *Tsaava and Others v. Georgia*-ის საქმე ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს შეკრებების მართვა ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად, რაც გამომდინარეობს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციიდან. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა კი ქმნის გარემოს, სადაც მედიის წარმომადგენლები იძულებულნი არიან იმოქმედონ თვითცენზურის პირობებში.[51]

[49] CMIS, *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); Reporters without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks against the Press in One Year* (2025).
[50] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).
[51] CoE Human Rights Commissioner, 21 April, 2026.

დახურული სასამართლო

სასამართლო პროცესების გამჭვირვალობის ნაკლებობა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მედიისთვის და მიიჩნევა პროფესიული შეზღუდვის მძიმე ფორმად. რაც ართმევს ჟურნალისტების შესაძლებლობას, უზრუნველყონ საზოგადოების სრულყოფილი ინფორმირება მართლმსაჯულების მიმდინარეობის შესახებ.[52] ასეთ პირობებში სასამართლო პროცესები ნაკლებად ექვემდებარება საჯარო კონტროლს, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტურ პრინციპებს და ამცირებს მართლმსაჯულების სისტემის ლეგიტიმაციას.[53]

2025 წლის ივნისს მიღებული ცვლილებებით, ფაქტობრივად, აიკრძალა ფოტო, ვიდეო და აუდიო გადაღება როგორც სასამართლო სხდომის დარბაზში, ისე სასამართლოს შენობასა და ეზოში. შედეგად, მედია გამოეთიშა ვიზუალური და აუდიო დოკუმენტირების პროცესს, რაც განსაკუთრებით პრობლემურია მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების შემთხვევაში.[54]

პოლიტპატიმარი მზია ამაღლობელი

მზია ამაღლობელის საქმე იქცა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითად, რომელიც ასახავს მედიის წარმომადგენლების მიმართ სამართლებრივი დევნის ტენდენციას საქართველოში. მის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოტანილი განაჩენი ფართოდ შეფასდა როგორც პოლიტიკურად მოტივირებული, რაც აძლიერებს შეშფოთებას მედიის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ.[55] ადგილობრივი და საერთაშორისო მონიტორინგის ანგარიშები მიუთითებს, რომ პროცესში გამოვლინდა სისტემური ხარვეზები,

[52] CMIS, *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); Reporters without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks against the Press in One Year* (2025).
[53] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).
[54] CMIS, *სასამართლო პროცესების გაშუქება: ბარიერები ჟურნალისტებისთვის* (2026).
[55] CMIS, *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); Reporters without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks against the Press in One Year* (2025).

რომლებმაც გავლენა მოახდინა საქმის სამართლიანობაზე და დააყენა კითხვები მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ.[56]

მზია ამაღლობელი წამყვანი მედია ორგანიზაციების, „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი და დირექტორი იყო. ის დააკავეს 2025 წლის 12 იანვარს პოლიციელისთვის სილის გაწვნის გამო და ბრალი წაუყენეს პოლიციელზე თავდასხმის მუხლით. მას სასამართლომ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა სასჯელი, ხოლო უზენაესმა სასამართლომ საერთოდ არ მიიღო საქმე წარმოებაში.[57]

მნიშვნელოვანია, რომ თავად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ადმინისტრაციული რეაგირების ნაცვლად შეფასდა როგორც პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება. მსგავსი მიდგომა ქმნის საშიშ პრეცედენტს, სადაც ჟურნალისტური საქმიანობა შეიძლება იქცეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად.[58]

სასმართლო პროცესის მიმდინარეობისას მაღალი თანამდებობის პირების საჯარო განცხადებებმა, რომლებშიც ბრალდებული ნეგატიურად იყო წარმოჩენილი, ეჭვქვეშ დააყენა უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა. მსგავსი რიტორიკა ქმნის წინასწარგანწყობას და გავლენას ახდენს როგორც საზოგადოებრივ აღქმაზე, ისე თავად სასამართლო პროცესის დამოუკიდებლობაზე. სასამართლო განხილვისას ასევე გამოიკვეთა მხარეთა თანასწორობის პრინციპთან დაკავშირებული პრობლემები. სასამართლო უპირატესად ეყრდნობოდა ბრალდების მხარის მოწმეების ჩვენებებს და ნაკლებად ითვალისწინებდა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს.[59]

მზია ამაღლობელის წინააღმდეგ გამოტანილი სასჯელის პროპორციულობა მკვეთრი კრიტიკის საგანი იყო. სასამართლოს განაჩენი შეფასდა როგორც არაპროპორციული, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელი იყო ალტერნატიული სანქციების გამოყენება. აღნიშნული გადაწყვეტილება აღიქმება, როგორც მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება პრევენციული და დამაშინებელი ეფექტის მისაღწევად.[60]

მზია ამაღლობელის საქმე წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მართლმსაჯულების სისტემა კრიტიკული ხმების

[56] Clooney Foundation for Justice, *TrialWatch: Georgia v. Mzia Amaglobeli* (2026).
[57] რადიო თავისუფლება, მზია ამაღლობელის საქმე უზენაესმა წარმოებაში არ მიიღო, 04 მარტი 2026.
[58] Clooney Foundation for Justice, *TrialWatch: Georgia v. Mzia Amaglobeli* (2026).
[59] Clooney Foundation for Justice, *TrialWatch: Georgia v. Mzia Amaglobeli* (2026).
[60] Clooney Foundation for Justice, *TrialWatch: Georgia v. Mzia Amaglobeli* (2026).

შესაზღუდად, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უარყოფითად აისახება როგორც მედიის გარემოზე, ისე ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.[61]

შეზღუდვები უცხოელი ჟურნალისტებისთვის

საანგარიშო პერიოდის ფარგლებში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც უცხოელ ჟურნალისტებს შეეზღუდათ საქართველოში შესვლა ან პროფესიული საქმიანობის განხორციელება. ასეთი შეზღუდვები არღვევს მედიის უფლებებს, უარყოფითად აისახება ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე და ამცირებს საქართველოს მიმართ გლობალური მედიის ინტერესს, რაც თავის მხრივ ზღუდავს საერთაშორისო აუდიტორიისთვის დამოუკიდებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ.[62]

2024–2025 წლებში საქართველოში უცხოელი ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფების ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის შეზღუდვის პრაქტიკამ მედიის თავისუფლების კონტექსტში ახალი და საგანგაშო ტენდენცია წარმოაჩინა. საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის სულ მცირე 9 შემთხვევა და ქვეყნიდან გასვლის შეზღუდვის 1 შემთხვევა, რაც მიუთითებს განმეორებად ადმინისტრაციულ პრაქტიკაზე და არა ერთეულ ინციდენტებზე.[63]

აღნიშნული შემთხვევების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა. უარის მიზეზად ხშირად მითითებულია ზოგადი ფორმულირება - „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა“ - შესაბამისი განმარტების გარეშე. ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს და ართულებს როგორც გადაწყვეტილებების გასაჩივრებას, ისე მათი ლეგიტიმურობის შეფასებას. ამასთან, იგი ქმნის სივრცეს შერჩევითი მიდგომისა და შესაძლო პოლიტიკური მოტივაციისთვის.[64]

---

[61] CMIS, *Safety Challenges Facing Independent Media in Georgia* (2025); Reporters without Borders (RSF), *Unprecedented Crackdown in Georgia: 600 Attacks against the Press in One Year* (2025).
[62] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026).
[63] CMIS, *უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში შეზღუდვის შემთხვევები* (2025).
[64] CMIS, *უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში შეზღუდვის შემთხვევები* (2025).

ქვეყანაში არშემოშვების შემთხვევები ძირითადად შეეხო ევროპული ქვეყნებიდან ჩამოსულ ჟურნალისტებს, რომელთა ნაწილი უკვე აქტიურად იყო ჩართული საქართველოში მიმდინარე პროცესების გაშუქებაში. ზოგიერთ შემთხვევაში ჟურნალისტები აეროპორტში საათების განმავლობაში იმყოფებოდნენ, რაც დამატებით აუარესებს მათ სამართლებრივ მდგომარეობას და ზრდის ფსიქოლოგიურ ზეწოლას.[65]

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შემთხვევები, როდესაც ქვეყანაში არ შემოუშვეს ჟურნალისტები, რომლებიც საქართველოში უკვე ცხოვრობდნენ ან ადგილობრივ მედიასთან თანამშრომლობდნენ.[66]

ქვეყნიდან გასვლის შეზღუდვის ერთადერთი დოკუმენტირებული შემთხვევა უკავშირდება აფგან სადიგოვს, რომელსაც თავდაპირველად არ მიეცა საქართველოს დატოვების უფლება და მოგვიანებით დაექვემდებარა დაკავებასა და საექსტრადიციო პატიმრობას.[67]

უცხოელი ჟურნალისტების გადაადგილების შეზღუდვა საქართველოში არ არის მხოლოდ საიმიგრაციო კონტროლის ტექნიკური საკითხი. იგი უნდა შეფასდეს როგორც მედიის გარემოზე ზემოქმედების ინსტრუმენტი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც შეზღუდვები ეხება პოლიტიკურად მგრძნობიარე თემების გამშუქებელ ჟურნალისტებს.[68]

აფგან სადიგოვის საქმე და მისი გავლენა მედია გარემოზე

აფგან სადიგოვის საქმე წარმოადგენს მნიშვნელოვან პრეცედენტს, რომელიც აერთიანებს მედიის თავისუფლების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების საკითხებს. [69]

აფგან სადიგოვს, რომელიც საქართველოში გადმოვიდა, რადგან საკუთარ ქვეყანაში - აზერბაიჯანში იდევნებოდა, 2024 წლის ივლისში შეეზღუდა ქვეყნის დატოვების

[65] CMIS, *უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში შეზღუდვის შემთხვევები* (2025).
[66] CMIS, *უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში შეზღუდვის შემთხვევები* (2025).
[67] CMIS, *უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში შეზღუდვის შემთხვევები* (2025);
[68] CMIS, *უცხოელი ჟურნალისტების საქართველოში შეზღუდვის შემთხვევები* (2025).
[69] MFRR denounces Sadygov's deportation as a stark example of transnational repression against journalists, 10 April, 2026.

შესაძლებლობა, ხოლო აგვისტოში იგი დააკავეს აზერბაიჯანის მოთხოვნის საფუძველზე, ექსტრადიციის მიზნით. დაკავებისა და მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების გასაპროტესტებლად, სადიგოვმა დაიწყო შიმშილობა, რომელიც შემდგომში გადაიზარდა ხანგრძლივ პროტესტში და გაგრძელდა რამდენიმე თვის განმავლობაში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც არაერთი უფლებადამცველი ორგანიზაციის შეშფოთების საფუძველი გახდა. 2025 წლის თებერვალში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა დროებითი ღონისძიება, რომლითაც საქართველოს აეკრძალა მისი აზერბაიჯანში გადაცემა საქმის არსებით განხილვამდე. აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ სადიგოვმა შეწყვიტა შიმშილობა, ხოლო 2025 წლის აპრილში იგი გათავისუფლდა პატიმრობიდან.[70]

მიუხედავად ამისა, 2026 წლის აპრილში საქმის განვითარებამ ახალი მიმართულება მიიღო. თბილისის საქალაქო სასამართლომ სადიგოვი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო, სოციალური ქსელის საშუალებით პოლიციელის მიმართ შეურაცხმყოფელი გამოხატვის საფუძველზე. მას დაეკისრა 2000 ლარის ოდენობის ჯარიმა, საქართველოდან გაძევება და ქვეყანაში შემოსვლის აკრძალვა სამი წლის ვადით. გადაწყვეტილება მიღებული იქნა დაჩქარებული წესით, მოკლე ვადებში.[71]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითადი ასპექტი. პირველ რიგში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საფუძველზე გაძევების გამოყენება აჩენს კითხვებს პროპორციულობისა და აუცილებლობის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამართალდარღვევის საფუძვლად დასახელებულია გამოხატვის ფორმა სოციალურ ქსელში. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების ეფექტიანი შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად არ განხორციელდა ექსტრადიცია, გაძევების გადაწყვეტილებამ ფაქტობრივად გამოიწვია იმავე შედეგის დადგომა, რომლის თავიდან აცილებასაც ისახავდა მიზნად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დროებითი ღონისძიება. ეს აჩენს კითხვას საერთაშორისო მექანიზმების პრაქტიკული ეფექტიანობის შესახებ.[72]

საქმის მნიშვნელობა სცილდება ერთი ჟურნალისტის დავას და წარმოადგენს უფრო ფართო, ტრანსნაციონალური დევნის მაგალითს. აღნიშნული შემთხვევა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ჟურნალისტების მიმართ ზეწოლის უფრო ფართო ტენდენციის ნაწილი, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მედიის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით.[73]

---

[70] ტაბულა, შსს: აფგან სადიგოვი გაძევებულ იქნა ქვეყნიდან, დაუწესდა აქ შემოსვლის 3-წლიანი აკრძალვა, 5 აპრილი 2026.
[71] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, *აფგან სადიგოვის საქმე* (6 აპრილი 2026).
[72] SJC, *აფგან სადიგოვის საქმე*, 6 აპრილი 2026.
[73] SJC, *აფგან სადიგოვის საქმე*, 6 აპრილი 2026.

2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნები და საპროტესტო აქცია

საარჩევნო პერიოდში მედიის წარმომადგენლებზე ზეწოლის ზრდა უარყოფითად აისახა საინფორმაციო გარემოს ხარისხსა და მედიის თავისუფლების დონეზე. მედიის საქმიანობის შეზღუდვა ამცირებს ამომრჩეველთა შესაძლებლობას მიიღონ მრავალმხრივი და სანდო ინფორმაცია, რაც ზრდის დეზინფორმაციის გავლენას და ართულებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას.[74]

2025 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელსაც ოპოზიციის ნაწილი ბოიკოტს უცხადებდა, საქართველოში ჩატარდა მაღალი რისკის მედიაგარემოში, რაც გამოიხატა ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის, მათ მიმართ მუქარის, სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების მრავალრიცხოვან შემთხვევებში.[75]

დაფიქსირებული შემთხვევების ანალიზი აჩვენებს, რომ ჟურნალისტების მიმართ აგრესია ვლინდებოდა სხვადასხვა ფორმით - ვერბალური თავდასხმიდან დაწყებული, პროფესიულ საქმიანობაში პირდაპირ ხელშეშლამდე და ფიზიკური დაპირისპირების მცდელობებამდე. განსაკუთრებით საყურადღებოა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების რიტორიკა, რომელიც ქმნიდა მედიის მიმართ ნეგატიურ გარემოს. ასეთი განცხადებები ზემოქმედებდა არა მხოლოდ კონკრეტულ ჟურნალისტებზე, არამედ ხელს უწყობდა მედიის დისკრედიტაციას ფართო საზოგადოებაში.[76]

მსგავსი ტენდენცია გამოვლინდა სხვა პოლიტიკური აქტორების მხრიდანაც, როდესაც ჟურნალისტებს ეძლეოდათ შეურაცხმყოფელი ან დისკრედიტაციული შეფასებები, რაც აძლიერებდა პოლარიზაციას და ქმნიდა მტრულ გარემოს ჟურნალისტური საქმიანობისთვის. აღნიშნული რიტორიკა ზრდიდა მესამე პირების მხრიდან აგრესიული ქცევის რისკსაც.[77]

---

[74] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026); CMIS, *4 ოქტომბრის არჩევნები და მედია* (2026).
[75] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026); CMIS, *4 ოქტომბრის არჩევნები და მედია* (2026).
[76] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026); CMIS, *4 ოქტომბრის არჩევნები და მედია* (2026).
[77] Freedom House, *Freedom in the World 2026: The Growing Shadow of Autocracy* (2026); CMIS, *4 ოქტომბრის არჩევნები და მედია* (2026).

არჩევნების დღის პარალელურად თბილისში გამართულმა მასშტაბურმა საპროტესტო აქციამ დამატებით წარმოაჩინა მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოების სისტემური პრობლემები. დაფიქსირდა ჟურნალისტებზე ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმის, პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლისა და ტექნიკური საშუალებების დაზიანების ან დაკარგვის არაერთი შემთხვევა.[78]

სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობა ჟურნალისტებისთვის რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. ზოგიერთ შემთხვევაში მედიის წარმომადგენლებს უშუალოდ ეზღუდებოდათ მუშაობა, მათ შორის ფიზიკური ზემოქმედების გზით, რაც აჩენს კითხვებს ძალის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით.[79]

განსაკუთრებით საყურადღებოა შემთხვევები, როდესაც სპეციალური საშუალებების გამოყენება ხდებოდა იმ სივრცეებში, სადაც ჟურნალისტები მუშაობდნენ, რაც ზრდიდა უსაფრთხოების რისკებს. წინასწარი გაფრთხილების არარსებობა კიდევ უფრო ამძაფრებს აღნიშნულ პრობლემას. დაფიქსირდა ასევე ტექნიკური საშუალებების დაზიანებისა და დაკარგვის შემთხვევები, მათ შორის საჰაერო გადაღების მოწყობილობებთან დაკავშირებით, რაც მიუთითებს მედიის მუშაობის დამატებით ბარიერებზე.[80]

აღნიშნული მოვლენები ერთობლიობაში აჩვენებს, რომ საპროტესტო აქციების გაშუქება ჟურნალისტებისთვის კვლავაც დაკავშირებულია მრავალმხრივ რისკებთან - ფიზიკურ უსაფრთხოებასთან, ტექნიკური რესურსების დაცვასთან და პროფესიული საქმიანობის თავისუფლებასთან.[81]

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველოს მედიაგარემოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და პრობლემურ შემთხვევად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ირგვლივ განვითარებული პროცესები, რომლებიც ნათლად ასახავს როგორც ინსტიტუციური დამოუკიდებლობის სისუსტეს, ისე მმართველობითი პრაქტიკის პოლიტიზაციის ტენდენციას. აღნიშნული პერიოდი ემთხვევა ქვეყანაში პროევროპული საპროტესტო

[78] CMIS, *მედია და 4 ოქტომბრის აქცია* (2025).
[79] CMIS, *მედია და 4 ოქტომბრის აქცია* (2025).
[80] CMIS, *მედია და 4 ოქტომბრის აქცია* (2025).
[81] CMIS, *მედია და 4 ოქტომბრის აქცია* (2025).

მოძრაობის გააქტიურებას, რაც დამატებით კონტექსტს სძენს მაუწყებლის საქმიანობის შეფასებას და აჩენს კითხვებს მის როლზე დემოკრატიულ საზოგადოებაში.[82]

საზოგადოებრივ მაუწყებელში კრიზისის გამძაფრება პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან, კერძოდ - 2024 წლის ნოემბერში მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან, რომელმაც ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შეჩერება გამოიწვია. ამ გადაწყვეტილებას ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა, რასაც მედიის მხრიდან ინტენსიური და კრიტიკული გაშუქება უნდა უზრუნველეყო. თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკა ვერ პასუხობდა საზოგადოებრივ მოთხოვნას სიღრმისეული, მიუკერძოებელი და მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდებაზე. შედეგად, მაუწყებლის მიმართ კრიტიკა გაძლიერდა როგორც საზოგადოების, ისე თავად თანამშრომლების მხრიდან.[83]

მაუწყებლის თანამშრომელთა ნაწილმა საჯაროდ დააფიქსირა უკმაყოფილება სარედაქციო პოლიტიკის მიმართ და მოითხოვა ეთერის გახსნა პლურალისტური დისკუსიებისთვის. ამასთან, ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფები, რომელთა მიზანი არხის პროფესიული სტანდარტების დაცვა და ინსტიტუციური გაჯანსაღება იყო.[84] მენეჯმენტის რეაგირება კრიტიკაზე ძირითადად რეპრესიული ხასიათის იყო. 2025 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც თანამშრომლების მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური სანქციები, მოხდა მათი სამსახურიდან გათავისუფლება ან იძულებითი გადაადგილება სხვა პროექტებში. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სანქციების სამიზნე ხშირად ხდებოდნენ ის თანამშრომლები, რომლებიც ღიად საუბრობდნენ მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაზე, ჟურნალისტების საქმიანობაში ჩარევაზე ან გამოხატავდნენ სოლიდარობას მედიის წარმომადგენლების მიმართ.[85]

რეპრესიული პოლიტიკის პარალელურად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროგრამულ პოლიტიკაშიც. დაიხურა რამდენიმე გადაცემა, მათ შორის „რეალური სივრცე“, რომლებიც გამოირჩეოდა სოციალური თემების აქტუალური გაშუქებითა და კრიტიკული დისკურსით. აღნიშნული გადაწყვეტილებები ხშირად ფორმალურად აიხსნებოდა პროექტების ვადის ამოწურვით ან სტრატეგიული საჭიროებების ცვლილებით, მაგრამ კონტექსტის გათვალისწინებით, ისინი აღიქმებოდა, როგორც სარედაქციო სივრცის შეზღუდვის მექანიზმი.[86]

[82] CMIS, კრიზისი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე და მენეჯმენტის რეპრესიული პოლიტიკა 14 თებერვალი, 2026
[83] CMIS, კრიზისი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე და მენეჯმენტის რეპრესიული პოლიტიკა 14 თებერვალი, 2026
[84] CMIS, კრიზისი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე და მენეჯმენტის რეპრესიული პოლიტიკა 14 თებერვალი, 2026
[85] CMIS, კრიზისი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე და მენეჯმენტის რეპრესიული პოლიტიკა 14 თებერვალი, 2026
[86] CMIS, კრიზისი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე და მენეჯმენტის რეპრესიული პოლიტიკა 14 თებერვალი, 2026

კრიზისის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო სამეურვეო საბჭოს როლი. საბჭოს წევრების უმრავლესობის მოქმედებები არაერთ შემთხვევაში აღიქმებოდა, როგორც მენეჯმენტის მხარდამჭერი და არა – დამოუკიდებელი ზედამხედველობის განმახორციელებელი. კრიტიკული ჟურნალისტების საქმიანობის შესაძლო სამართლებრივი შეფასების ინიციატივა, ასევე სხდომებზე დასწრების წესების გამკაცრება, ამცირებდა გამჭვირვალობას და ზღუდავდა ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. შედეგად, მაუწყებლის მართვის სისტემა უფრო დახურული და ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა როგორც თანამშრომლებისთვის, ისე საზოგადოებისთვის.[87]

კომუნიკაციების კომისია

კომუნიკაციების კომისია, რომელიც კანონით უნდა იყოს მედიის თავისუფლების დამცველი დამოუკიდებელი რეგულატორი, გადაიქცა პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არსებით გავლენას ახდენს მაუწყებლობის სექტორის ფუნქციონირებაზე, ხოლო კონტენტის რეგულირების მიმართულებით მისი უფლებამოსილების გაფართოება ზრდის ცენზურის რისკებს და კითხვის ქვეშ აყენებს რეგულატორის მიუკერძოებლობას. კომისიის წარსული და მოქმედი ხელმძღვანელობის ბიოგრაფიული მონაცემები აჩვენებს პოლიტიკურ და მედია სექტორთან მჭიდრო კავშირებს, რაც აძლიერებს კითხვებს მისი ინსტიტუციური ნეიტრალიტეტის შესახებ. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც რეგულატორი იღებს გადაწყვეტილებებს დამოუკიდებელი მედიის საქმიანობასთან დაკავშირებით. ბოლო წლების განმავლობაში კომისიის პრაქტიკა კრიტიკულად ფასდება როგორც შერჩევითი რეგულირების მაგალითი, რაც ვლინდება დამოუკიდებელი მაუწყებლების მიმართ დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებსა და სანქცირების შემთხვევებში.[88]

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კომისიის საქმიანობას, როდესაც მარეგულირებლის გადაწყვეტილებები უკავშირდება წინასაარჩევნო პერიოდს და პოლიტიკურ შინაარსს. ასეთი პრაქტიკა აღიქმება როგორც რეგულატორის მიერ შინაარსობრივი კონტროლის გაფართოება, რაც გავლენას ახდენს მედიაპლურალიზმზე და საინფორმაციო გარემოს დაბალანსებაზე.[89]

[87] CMIS, კრიზისი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე და მენეჯმენტის რეპრესიული პოლიტიკა 14 თებერვალი, 2026
[88] SWD (2025), European Commission.
[89] SWD (2025), European Commission.

კომისიის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარის და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ სანქცირებული კახა ბექაურის გამოყენებული რიტორიკა და საჯარო განცხადებები, ასევე მისი ხელმძღვანელობის დროს მარეგულირებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კრიტიკულად ფასდება როგორც დამოუკიდებელი მედიის მიმართ ზეწოლის გამაძლიერებელი ფაქტორი. ამასთან, საკადრო პოლიტიკა და ინსტიტუციური ჩაკეტილობა განიხილება როგორც დამატებითი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს რეგულატორის დამოუკიდებლობის ხარისხზე. აღნიშნული გარემოება აძლიერებს აღქმას, რომ კომისია არ ფუნქციონირებს სრულად დამოუკიდებელი მარეგულირებლის სახით.[90]

2026 წელს კომუნიკაციების კომისიას ორი ახალი წევრი შეემატა, კერძოდ უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ გოგა გულორდავა და ანი ვაზაგაშვილი გახდნენ მარეგულირებლის ახალი წევრები. ორივე ტელეკომპანია „იმედში“ საქმიანობდნენ, რომელიც „პოსტ-ტვისთან“ ერთად დიდი ბრიტანეთის მიერ რუსული პროპაგანდის გავრცელების გამო დასანქცირდა.[91] ახალი თავმჯდომარის - გულორდვას ხელმძღვანელობით კომისიამ განაახლა შემზღუდავი რეგულაცია მაუწყებლების მიმართ.[92]

არსებული პრაქტიკის ანალიზი მიუთითებს, რომ რეგულატორის როლი საჭიროებს გადახედვას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი შესაბამისობა მედიაპლურალიზმისა და თავისუფალი მედიის დაცვის სტანდარტებთან.[93]

---

[90] მედიის ადვოკატირების კოალიცია, *კომუნიკაციების კომისიის მუქარა დამოუკიდებელი მედიის მიმართ: სანქცირებული კახა ბექაურის მძიმე მემკვიდრეობა* (2026); *ზეწოლა დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ* (2026).
[91] რადიო თავისუფლება, ბრიტანეთმა სანქციები დაუწესა „იმედსა“ და „პოსტივის“, 24 თებერვალი, 2026.
[92] მედიის ადვოკატირების კოალიცია, ვახტანგ აბაშიძე – რეპრესიული სისტემის ერთგული წევრი, 2026.
[93] SWD (2025), European Commission.

შეჯამება

2025–2026 წლებში საქართველოში მედიაგარემო ხასიათდება მკვეთრი და სისტემური გაუარესებით, რაც მიზანმიმართულ და ინსტიტუციონალიზებულ ზეწოლაზე მიუთითებს. რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები, ჟურნალისტური საქმიანობის კრიმინალიზაციის შემთხვევები, ძალადობის მაღალი მაჩვენებლები და ამ დანაშაულებზე ეფექტური რეაგირების ნაკლებობა ქმნის გარემოს, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს დამოუკიდებელი მედიის საქმიანობას.

მედიაზე ზეწოლა ხორციელდება როგორც სამართლებრივი და ადმინისტრაციული მექანიზმებით, ისე მიზანმიმართული დისკრედიტაციისა და დეზინფორმაციის კამპანიებით, რაც ამცირებს მედიისადმი ნდობას და აფერხებს საზოგადოებისთვის სანდო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, სასამართლო პროცესების დახურვა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ასუსტებს მედიის შესაძლებლობას განახორციელოს საზოგადოებრივი კონტროლის ფუნქცია.

არსებული გარემო აძლიერებს თვითცენზურის ტენდენციას და ზღუდავს პლურალისტური დისკუსიის სივრცეს, რაც ნეგატიურად აისახება დემოკრატიული პროცესების ხარისხზე. ეს პროცესები, საერთაშორისო შეფასებებთან თანხვედრაში, მიუთითებს, რომ მედიის თავისუფლების გაუარესება საქართველოში წარმოადგენს უფრო დემოკრატიული უკუსვლის ნაწილს და ზრდის რისკებს ქვეყნის ინსტიტუციური მდგრადობისთვის.